

სკოპინგის დასკვნა N71

საქმიანობის დასახელება: ასფალტის წარმოება, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემის) გადამუშავება და ნავთობპროდუქტის საცავის მოწყობა-ექსპლუატაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ნიუ ჯეო როუდი“;

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყიზილაჯლო;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 27.10.2022;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენელის შესახებ: შპს „ნიუ ჯეო როუდი“;

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „ნიუ ჯეო როუდის“ (ს/კ - 405537290) მიერ წარმოდგენილია - მარნეულის მუნიციპალიტეტის, სოფ. ყიზილაჯლოში ასფალტის წარმოების, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემის) გადამუშავების და ნავთობპროდუქტის საცავის მოწყობა-ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში.

ზემოაღნიშნული პროექტის სკოპინგის განცხადება შპს „ნიუ ჯეო როუდის“ მიერ წარმოდგენილი იქნა 2022 წლის 11 აგვისტოს, რაზეც კანონმდებლობის შესაბამისად დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, რომლის ფარგლებში სააგენტოს წარმომადგენლის მიერ მოხდა შპს „ნიუ ჯეო როუდის“ საპროექტო ტერიტორიის დათვალიერება და შედეგად დადგინდა, რომ ადგილზე უკვე ჩატარებული იყო საწარმოს სამშენებლო და დანადგარების სამონტაჟო სამუშაოები. 2022 წლის 5 სექტემბერს, აღნიშნული ინფორმაცია შესაბამისი რეაგირების მიზნით, ფოტომასალასთან ერთად, გადაგზავნილ იქნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში. დეპარტამენტის ცნობით - საწარმოს მიმართ 2022 წლის 15 ნოემბერს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი (№072558), რომელიც განსახილველად გადაგზავნილი იქნება მარნეულის მაგისტრატ სასამართლოში. ამასთან, ვინაიდან სააგენტოში წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში საქმიანობა განხილული იყო როგორც დაგეგმილი, ხოლო ტერიტორიაზე არსებული რეალობა განსხვავდებოდა ანგარიშში მითითებული ინფორმაციისგან, სააგენტომ შეწყვიტა ადმინისტრაციული წარმოება და კომპანიას დაევალა ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით შედგენილი სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენა.

მ/წ 27 ოქტომბერს, შპს „ნიუ ჯეო როუდმა“ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს მიმართა განახლებული სკოპინგის განცხადებით, რის საფუძველზეც დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სააგენტოს წარმომადგენლის მიერ საპროექტო ტერიტორიის დათვალიერების შედეგად კვლავ დადგინდა, რომ ადგილზე მოწყობითი სამუშაოები იყო განახლებული, კერძოდ ტერიტორიაზე დამატებით განთავსებული იყო 4 ერთეული ბიტუმის რეზერვუარი. რის შესახებაც კვლავ ეცნობა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ასფალტის წარმოება, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემის) გადამუშავება და ნავთობპროდუქტის საცავის მოწყობა-ექსპლუატაცია დაგეგმილია მარნეულის მუნიციპალიტეტის, სოფ. ყიზილაჯლოში შპს „ნიუ ჯეო

როუდის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: 83.01.08.060). უახლოესი საცხოვრებელი სახლი საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია 1570 მეტრის მანძილით. ტერიტორიამდე მიდის მარნეული-თეთრიწყარო-წალკას საავტომობილო გზა. საპროექტო ნაკვეთის მიმდებარედ განთავსებულია ელექტროგადამცემი ხაზები. ტერიტორიის გარშემო მიმდინარეობს ბაზალტის მოპოვება-გადამუშავება.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი, მათ შორის განხილულია უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა, ტექნოლოგიური ალტერნატივა და ტერიტორიის შერჩევის ალტერნატიული ვარიანტები. ადგილმდებარეობის 3 ალტერნატიული ვარიანტიდან, უახლოესი დასახლებული პუნქტიდან დაშორების მანძილისა და მისასვლელი გზების არსებობის გათვალისწინებით უპირატესობა მიენიჭა პირველ ალტერნატივას. ტექნოლოგიური ალტერნატივის განხილვისას წარმოდგენილია შერჩეული მოდელის შესახებ ინფორმაცია (MARINI-ის წარმოების BE TOWER ECO 2000P), რომელსაც დოკუმენტის თანახმად, მიღებული აქვს გარემოსდაცვითი მართვის საერთაშორისო სტანდარტი - ISO 14001- 2015. ქვიშა-ხრემის გადამუშავების მიზნით შერჩეული იქნა SEYTAS, SY-VSI-800-CR მოდელის დანადგარი, ხოლო გადამუშავების ტექნოლოგიად უპირატესობა მიენიჭა ინერტული მასალის მშრალი მეთოდით დამუშავებას, ვინაიდან საწარმოში დაგეგმილია გარეცხილი ქვიშა-ლორღის შეტანა.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, შერჩეული ტიპის ასფალტშემრევი დანადგარის მაქსიმალური წარმადობა შეადგენს - 160 ტ/სთ, თუმცა დაგეგმილი არ არის დანადგარის სრული დატვირთვით ფუნქციონირება, საწარმოში წლის განმავლობაში დაგეგმილია 100 000 ტონა ასფალტის დამზადება. საწარმო იმუშავებს წელიწადში 300 დღე 8 საათიანი გრაფიკით (2400 სთ/წელ). სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის წარმადობა შეადგენს 200-250 ტ/წელ. ამასთან საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია 7 ერთეული ბიტუმის და 1 ერთეული დიზელის საწვავის რეზერვუარის (თითოეული 50 მ³) ექსპლუატაცია.

წარმოდგენილი დოკუმენტის შესაბამისად, საწარმოს შემადგენლობაში შედის შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტები: ინერტული მასალების მიმღები ბუნკერები; ლენტური ტრანსპორტიორი; საშრობი დოლი; დახურული ჩამჩებიანი ელევატორი; მინერალური ფხვნილის სილოსი; ბიტუმის რეზერვუარები; ზეთის გამაცხელებელი ღუმელი ბიტუმის რეზერვუარისთვის; ასფალტშემრევი აგრეგატი; ასფალტის დამზადების პროცესში წარმოქმნილი აირების გამწმენდი სისტემა და ავტომატიზებული სამართავი პულტის ოთახი. ქვიშა-ხრემის გადამამუშავებელი დანადგარი მოიცავს - მიმღებ ბუნკერს, სამსხვრევ დანადგარს, დამხარისხებელ დანადგარს და ლენტურ ტრანსპორტიორს.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 2 სახის ასფალტის ნამზადის დამზადება. ასფალტის ნარევისთვის საჭირო მასალებია: ლორღის სხვადასხვა ფრაქცია (12-22 მმ; 8-16 მმ; 5-8 მმ); ქვიშა (0-5 მმ), მინერალური ფხვნილი და ბიტუმი. პირველი ნამზადის დასამზადებლად გათვალისწინებულია: 89 900 ტ/წელ - ინერტული მასალა (ქვიშა-ხრემი), 5 700 ტ/წელ - მინერალური ფხვნილი, 4 400 ტ/წელ - ბიტუმი, ხოლო მეორე ნამზადისთვის - 84 800 ტ/წელ - (ქვიშა-ხრემი), 9 400 ტ/წელ - მინერალური ფხვნილი და 5 800 ტ/წელ - ბიტუმი.

დოკუმენტის შესაბამისად, საწარმოში შეტანილი ინერტული მასალა განთავსდება მიმღებ ბუნკერებსა და ღია საწყობში, მინერალური ფხვნილი - მისთვის განკუთვნილ სილოსში, ხოლო ბიტუმი 7 ერთეულ ბიტუმის რეზერვუარში (50 მ³ მოცულობით). **დაზუსტებას საჭიროებს ქვიშა-ლორღის დასაწყობების მიზნით გამოყოფილი ბუნკერების რაოდენობისა**

და მოცულობის შესახებ ინფორმაცია, ასევე არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია მინერალური ფხვნილისთვის განკუთვნილი სილოსის მოცულობის შესახებ, რაც წარმოდგენილი უნდა იქნას გზშ-ის ანგარიშში.

ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად, შემოტანილი ინერტული მასალები ავტომანქანების საშუალებით მიეწოდება ასფალტ-ბეტონის საწარმოს მიმდებარედ განლაგებულ ქვიშა-ლორღის ღია საწყობებს, საიდანაც ინერტული მასალების ნაწილი (10-22 მმ ფრაქცია), 0-5 მმ ფრაქციის დასამზადებლად ჯერ მიეწოდება სამსხვრევ დანადგარს, ხოლო შემდეგ ასფალტ-ბეტონის საწარმოს მიმღებ ბუნკერს (სამსხვრევი დანადგარი გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი, 0-5 მმ ფრაქციის მისაღებად). ღია საწყობიდან ქვიშა და ლორღი მიეწოდება კვების აგრეგატის ბუნკერს, საიდანაც ავტომატური დოზატორით ხდება მათი ლენტურ კონვეიერზე დაყრა, აღნიშნულიდან - მასა გადავა საშრობ დოლში. საშრობ დოლში გამომშრალი ინერტული მასა ჩაიტვირთება ჩამჩვებიან ელევატორზე და მიეწოდება ამრევი აგრეგატის სორტირების მოწყობილობას, სადაც ხდება მასალის ფრაქციებად დაყოფა. დაყოფილი ფრაქციები შემდგომ მიეწოდება ცხელი მასალის ბუნკერს, საიდანაც ქვიშა-ლორღი ჩაიტვირთება დოზატორში - შემდეგ შემრევ განყოფილებაში. შემრევში არსებულ მასას დაემატება შემავსებელი (მინერალური ფხვნილი), შესაბამის ტემპერატურამდე გაცხელებული ბიტუმი და მოხდება ინტენსიური შერევა. მიღებული პროდუქცია გადაიტვირთება მზა ნარევის ბუნკერში, ან პირდაპირ ავტოთვიომცლელელებში და გატანილი იქნება საწარმოს ტერიტორიიდან.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, წყლის გამოყენება დაგეგმილია სასმელ-სამეურნეო, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისა და ცხელ ამინდებში ტერიტორიის მოსარწყავად, რისთვისაც ტერიტორიაზე გათვალისწინებულია წყლის რეზერვუარების განთავსება. დოკუმენტის მიხედვით, სანიაღვრე წყლების პოტენციურად დამაბინძურებელი წყაროები განთავსებული იქნება გადახურულ ტერიტორიაზე, სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სანიაღვრე წყლების დაბინძურებას ადგილი არ ექნება, რაც საჭიროებს დაზუსტებას გზშ-ის ეტაპზე. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების შეგროვება გათვალისწინებულია საასენიზაციო ორმოში, რომლის განტვირთვა მოხდება პერიოდულად, კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია პროექტის განხორციელებით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, ასევე ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისთვის. პროექტის ფარგლებში გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასთან და ხმაურის გავრცელებასთან.

ატმოსფერულ ჰაერში ემისიების გაფრქვევა მოსალოდნელია სამსხვრევი დანადგარის და ასფალტ-ბეტონის საწარმოს ფუნქციონირებით, ასევე ბიტუმის გაცხელებით, ნედლეულის საწარმოს ტერიტორიაზე მიღების და პროდუქციის გატანის დროს. დოკუმენტში იდენტიფიცირებულია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების 18 სტაციონარული წყარო და წარმოდგენილია მოსალოდნელი ემისიების ანგარიში. წარმოდგენილი ანგარიში შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციას, კერძოდ აღნიშნულია, რომ ქვიშა, სამსხვრევი დანადგარის ბუნკერებში მოხვედრამდე, ნედლეულის რეცხვისას ცალკე გამოიყოფა და განთავსებული იქნება ქვიშის საწყობში. აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან დოკუმენტის სხვა ქვეთავის მიხედვით, ინერტული მასალის გადამუშავება დაგეგმილია მშრალი მეთოდით და გათვალისწინებული არ არის

საპროექტო ტერიტორიაზე ნედლეულის რეცხვის საკითხები. დოკუმენტის მიხედვით, ასფალტბეტონის დანადგარი აღჭურვილია მტვრის გამწმენდი მოწყობილობით (360 ერთეული - სახელოებიანი ფილტრებით, რომელთა ეფექტურობა 99,0%-ს შეადგენს). საშრობი დოლიდან, ჩამრეებიანი ელევატორიდან, მინერალური ფხვნილის სილოსიდან გამოყოფილი მტვერი გაიწოვება მტვერდამჭერ სისტემაში. დაჭერილი შეწონილი ნაწილაკები შეგროვდება სპეციალურ ავზში, რის შემდგომაც მოხდება მისი შრობა და ტექნოლოგიურ ციკლში დაბრუნება. **გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს შეწონილი ნაწილაკების შეგროვებისთვის გათვალისწინებული ავზის შესახებ ინფორმაცია.** დოკუმენტის შესაბამისად, საშრობ დოლში გამოყოფილი ნამწვი აირი და შემრევში ბიტუმის მიწოდებისას გამოყოფილი მავნე ნივთიერებები, ფილტრის გავლით გაიფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში.

მნიშვნელოვანია, გზშ-ის ეტაპზე დეტალურად იქნეს წარმოდგენილი ინფორმაცია, როგორც ორგანიზებული, ისე არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროების და გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შესახებ. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ატმოსფერულ ჰაერში მოსალოდნელ ემისიათა გაზნების დეტალური ანგარიში, სადაც გათვალისწინებული იქნება ასევე საწარმოო ტერიტორიაზე გაბატონებული ქარის მიმართულებები, ხოლო ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრევენციის მიზნით დაიგეგმოს სათანადო ქმედითი ღონისძიებები, რომლებიც დეტალურად აისახება გზშ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშში შეფასებულია ხმაურის გავრცელებით გამოწვეული მოსალოდნელი ზემოქმედება, რომლის თანახმად, უახლოეს მოსახლემდე - საანგარიშო წერტილში ხმაურის დონე შეადგენს 42 დბა-ს. დოკუმენტის მიხედვით, საწარმოს საქმიანობის პროცესში ადგილი იქნება სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნას. ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების სეპარირებული შეგროვება. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მუნიციპალური ნარჩენი გატანილი იქნება ადგილობრივ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენების გატანას ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფს შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანია.

დოკუმენტში შეფასებულია კუმულაციური ზემოქმედების გამომწვევი ფაქტორები და აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ (320-1000 მ-იან რადიუსში) საწარმოო ობიექტებიდან განთავსებულია ბაზალტის საბადოები. აღნიშნულის გათვალისწინებით, კუმულაციური ზემოქმედების რისკები განხილულია ატმოსფერული ჰაერის, ხმაურის გავრცელებისა და სატრანსპორტო ნაკადზე მოსალოდნელი ზემოქმედების კუთხით.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ აინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის რეგიონული წარმომადგენლების მიერ განცხადებები განთავსდა საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. ასევე ინფორმაცია განთავსდა სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“ ვებგვერდზე და გადაიგზავნა ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 17 ნოემბერს. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, მარნეულის მუნიციპალიტეტის, სოფ. ყიზილაჯლოს და შპს „ნიუ ჯეო როუდის“ წარმომადგენლები, ასევე ადგილობრივი

მოსახლეობა. საჯარო განხილვაზე მოსახლეობის შენიშვნები ძირითადად ეხებოდა, პროექტის განხორციელების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხებს და საწარმოს ექსპლუატაციის პირობებში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების საკითხს. მოსახლეობამ, ასევე ხაზი გაუსვა სოფელში არსებული სხვადასხვა საწარმოს ფუნქციონირებით გამოწვეულ უარყოფით ზემოქმედებას და კომპანიას, საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, სტანდარტების დაცვისკენ მოუწოდა. შპს „ნიუ ჯეო როუდის“ წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროექტის ფარგლებში დაგეგმილია გარემოსდაცვითი სტანდარტის მქონე დანადგარის ექსპლუატაცია, რაც შეამცირებს საწარმოს ექსპლუატაციით მოსალოდნელ ზემოქმედებას. მანვე დაამატა, რომ დასაქმებულთა უმრავლესობა ადგილობრივი მოსახლე იქნება. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის ოქმში. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული იქნა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. ამასთან, განსაზღვრული და დაგეგმილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი

1. **გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. **გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
- 2.1. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.
3. **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს** სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
- 3.1. **გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სადაც შეფასებული და გაანალიზებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე ამჟამად არსებული მდგომარეობა.**
4. **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს:**

- საქმიანობის აღწერა;
- საქმიანობის საჭიროების დასაბუთება;
- საწარმოო ტერიტორიის აღწერა, ადგილის საკადასტრო კოდისა და GPS კოორდინატების მითითებით, Shp ფაილებთან ერთად;
- საწარმოო ობიექტის გენერალური გეგმა (რომელიც უნდა იძლეოდეს საწარმოსა და მისი შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების აღქმის/გაანალიზების შესაძლებლობას), შესაბამისი აღნიშვნებით და ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება საწარმოს უბნები და დანადგარები, დამხმარე ტექნოლოგიური მოწყობილობები/ინფრასტრუქტურული ობიექტები (მათ შორის დიზელის და წყლის რეზერვუარები), ასევე გაფრქვევისა და ხმაურის წყაროები;
- საწარმოო ტერიტორიის სიტუაციური სქემა (შესაბამისი აღნიშვნებით, ფოტო მასალა);
- საპროექტო ტერიტორიის გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი;
- დაზუსტებული მანძილი საწარმოს ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე (მდებარეობის მითითებით), დასახლებამდე (სოფელი, ქალაქი), მდინარემდე და უახლოეს სამრეწველო ობიექტამდე;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიიდან 500 მეტრის რადიუსში არსებული ნებისმიერი ტიპის საწარმოო ობიექტის შესახებ (მანძილების და საქმიანობის მითითებით);
- ინფორმაცია გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატივების შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის, დეტალურად იქნეს განხილული უმოქმედობის ალტერნატივა და ტექნოლოგიური ალტერნატივები, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების დასაბუთების მითითებით. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული საწარმოს განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;
- ინფორმაცია საწარმოს ფიზიკური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია ასფალტის საწარმოს და სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის წარმადობის (სთ, დღე, წელი) და სამუშაო რეჟიმის/გეგმა-გრაფიკის შესახებ;
- დაზუსტებული ინფორმაცია წარმოებული პროდუქციის რაოდენობის და სამუშაო რეჟიმის შესახებ;
- ასფალტის წარმოებისა და სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის ტექნოლოგიური პროცესების დეტალური აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით. ასფალტის საწარმოს და სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის ტექნოლოგიური სქემა და ტექნოლოგიური ციკლი, სქემატური ნახაზების მითითებით და შესაბამისი ექსპლიკაციით (ნედლეულის შემოტანიდან-პროდუქციის მიღებამდე);

- დაზუსტებული ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით (ინერტული მასალებით, ბიტუმით და მინერალური ფხვნილით) მომარაგების შესახებ, სიხშირის მითითებით;
- ინფორმაცია ნედლეულის დასაწყობების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია დროებით დასაწყობებული ნედლეულის პერიოდისა და პირობების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ბიტუმსაცავის (ტიპი, მოცულობა და სხვ) და ბიტუმის სახარშის (გაცხელების) შესახებ;
- ინფორმაცია წლის განმავლობაში საჭირო მასალების რაოდენობის შესახებ;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზების შესახებ;
- ინფორმაცია ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი ავტოტრანსპორტის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ნედლეულის შემოტანისა და მზა პროდუქციის გატანის შესახებ, შესაბამისი სამოდრაო მარშრუტის მითითებით (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით). ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი (ნედლეულის/პროდუქციის შემოტანის და გატანის პროცედურების სიხშირის მითითებით);
- ამასთან მნიშვნელოვანია საჭიროების შემთხვევაში, გათვალისწინებული იქნეს დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შესაბამისი პირობები, მაგ: დაბალი სიჩქარე, სამოდრაო გზის მორწყვა, ძარის გადახურვა, ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა;
- ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების სქემის და გეგმა-გრაფიკის მუნიციპალიტეტთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინფორმაცია საპროექტო მტვერდამჭერი სისტემის შესახებ, მათ შორის დეტალური ინფორმაცია სახელოიანი ფილტრების პარამეტრებისა და ეფექტურობის შესახებ (საპასპორტო მონაცემების მითითებით);
- ინფორმაცია მტვერდამჭერი მოწყობილობის პარამეტრების დაცვის, მათ შორის სახელოიანი ფილტრების დროული გამოცვლის შესახებ;
- ინფორმაცია მტვერდამჭერში დაგროვილი მტვრის შემდგომი მართვის, მათ შორის კვლავწარმოებაში გამოყენების შესახებ;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე გაბატონებული ქარების მიმართულების შესახებ;
- ინფორმაცია მშრალ ამინდებში საპროექტო ტერიტორიისა და მისასვლელი გზების მორწყვის შესახებ (მორწყვის გეგმა-გრაფიკის მითითებით);
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გამწვანების ზოლის არსებობის ან/და მოწყობის (დასახლებული პუნქტის მიმართულებით) შესაძლებლობის შესახებ;
- საწარმოს ფუნქციონირების დროს შესაძლო ავარიული სიტუაციების აღწერა. მათ შორის საწარმოს სახანძრო უსაფრთხოების საკითხების შესახებ ინფორმაცია, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების მითითებით;

- ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (კოდები, დასახელებები და რაოდენობა) და დროებითი დასაწყობების ობიექტისა და პირობების შესახებ;
- ინფორმაცია ობიექტების სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების შესახებ;
- ინფორმაცია წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია საწარმოს ტექნოლოგიურ უბნებზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ, მათ შორის ინფორმაცია სანიაღვრე წყლების შესაძლო დაბინძურების და პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
- დაზუსტებული ინფორმაცია ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებული ენერჯის, საწვავის შესახებ. მათ შორის, ინფორმაცია საწარმოს ელექტროენერჯით, დიზელითა ან/და ბუნებრივი აირით მომარაგების შესახებ;
- ინფორმაცია დასაქმებული ადამიანების რაოდენობის შესახებ, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ.

5. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეჯამება, მათ შორის:

- **პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს:**
 - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიში;
 - ინფორმაცია ორგანიზებული და არაორგანიზებული გაფრქვევების შესახებ;
 - ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები;
 - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის გეგმა, მონიტორინგს დაქვემდებარებული კომპონენტების და წყაროების მითითებით;
 - კანონმდებლობის შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
 - პროექტის ფარგლებში ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ხმაურის ყველა წყაროს გენ-გეგმაზე დატანით), ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება და მოდელირება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის საკითხების მითითებით;

- გარემოზე ზემოქმედების შეფასება ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისას, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრით. ამასთან, ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებით სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაძლო დაბინძურების განსაზღვრა, შესაბამისი დეტალური შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ზედაპირულ და მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ბიოლოგიურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- კუმულაციური ზემოქმედების შესახებ დეტალური ინფორმაცია, როგორც 500 მ-იან რადიუსში, ისე მის მიმდებარედ არსებული ობიექტების გათვალისწინებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის. ამასთან, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს სატრანსპორტო ოპერაციებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების საკითხი. კუმულაციურ ზემოქმედებასთან მიმართებაში განისაზღვროს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე;
- მნიშვნელოვანია გზშ-ის ანგარიშში დეტალურად იქნეს ასახული პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე, ასევე განსაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ამასთან, წარმოდგენილი იქნეს სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება;
- გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- ნარჩენების წარმოქმნა-გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების დეტალური გეგმა;
- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი**;
- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი** საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით), სადაც ატმოსფერულ ჰაერში ემისიებისა და ხმაურის გავრცელების მინიმუმიზაციის

მიზნით, გათვალისწინებული იქნება ინსტრუმენტული მონიტორინგი უახლოეს მოსახლესთან;

- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.

6. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით დაახლოებით 990 მეტრის დაშორებით ფიქსირდება შენობა-ნაგებობა, რომლის ფუნქციური დატვირთვა საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს სამეურნეო-საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყალმომარაგება ხორციელდება შემოტანილი წყლით. სამეურნეო დანიშნულების წყლისთვის საწარმოში განთავსებულია ორი - თითოეული 2 კუბ.მ მოცულობის რეზერვუარი, გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია წყლით მომარაგების შესახებ;
- დაზუსტებას საჭიროებს ქვიშა-ლორღის დასაწყობების მიზნით გამოყოფილი ბუნკერების რაოდენობისა და მოცულობის შესახებ ინფორმაცია, ასევე არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია მინერალური ფხვნილისთვის განკუთვნილი სილოსის მოცულობის შესახებ;
- წარმოდგენილი ანგარიშში შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციას, კერძოდ აღნიშნულია, რომ ქვიშა, სამსხვრევი დანადგარის ბუნკერებში მოხვედრამდე, ნედლეულის რეცხვისას ცალკე გამოიყოფა და განთავსებული იქნება ქვიშის საწყობში. აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან დოკუმენტის სხვა ქვეთავის მიხედვით, ინერტული მასალის გადამუშავება დაგეგმილია მშრალი მეთოდით და გათვალისწინებული არ არის საპროექტო ტერიტორიაზე ნედლეულის გარეცხვის საკითხები;
- მტვერდამჭერ სისტემაში დაჭერილი შეწონილი ნაწილაკები შეგროვდება სპეციალურ ავზში, რის შემდგომაც მოხდება მისი შრობა და ტექნოლოგიურ ციკლში დაბრუნება. გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს შეწონილი ნაწილაკების შეგროვებისთვის გათვალისწინებული ავზის შესახებ ინფორმაცია;
- სკოპინგის ანგარიშში შეფასებულია ხმაურის გავრცელებით გამოწვეული მოსალოდნელი ზემოქმედება, რომლის თანახმად, უახლოეს მოსახლემდე - საანგარიშო წერტილში ხმაურის დონე შეადგენს 42 დბა-ს, რაც გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას მოქმედი დადგენილებით („საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ 2017 წლის 15 აგვისტოს N398 დადგენილება);

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობაა 800 კუბ.მ, გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია მოხსნილი ნიადაგის მართვის საკითხების შესახებ;
- დოკუმენტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია წყლის რეზერვუარების ფუნქციონირება, რაც დატანილი უნდა იქნას გენერალურ გეგმაზე;
- სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საწარმოს პირობებიდან გამომდინარე, დანადგარის მიერ წარმოებული ინერტული მასალის წლიური რაოდენობა 403 200 ტონას შეადგენს, აღნიშნული რაოდენობა საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან საპროექტო წარმადობის გათვალისწინებით ვერ ხერხდება აღნიშნული რაოდენობის ნაწარმის მიღება;
- დოკუმენტი შეიცავს ხარვეზს კერძოდ აღნიშნულია, რომ სკოპინგის ანგარიშის შესწავლის საფუძველზე სამინისტრო გასცემს სკოპინგის დასკვნას, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, სკოპინგის დასკვნას გასცემს - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო;
- სკოპინგის ანგარიში მოიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციას, კერძოდ დოკუმენტის თანახმად, დანადგარის წარმადობა შეადგენს 160 ტ/სთ, თუმცა საწარმოში დაგეგმილი არ არის დანადგარის მაქსიმალური წარმადობით ფუნქციონირება და საწარმო წელიწადში აწარმოებს 100 000 ტ/წელ ასფალტს (იმუშავებს 625 სთ/წელ), ამასთან დოკუმენტის ერთ-ერთ ქვეთავში აღნიშნულია, რომ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების მაქსიმალური მნიშვნელობის შეფასების მიზნით, გზმ-ის ანგარიშში, ემისიების ანგარიში შესრულდება 2400 სთ/წელ პირობებისთვის (წელიწადში 300 სამუშაო დღე, დღეში 8 საათიანი რეჟიმი), ასფალტის საწარმოს საპროექტო წარმადობის გათვალისწინებით, გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას საწარმოს რეჟიმისა და მოსალოდნელი ზემოქმედების დაზუსტებული ინფორმაცია;
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ნიუ ჯეო როუდის“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. ყიზილაჯლოში ასფალტის წარმოებას, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამუშავებას და ნავთობპროდუქტის საცავის მოწყობა-ექსპლუატაციას, **სავალდებულოა გზმ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზმ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.

